ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობა

ქალაქ თბილისი, ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვის კონკურსის

საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N3

ქ. თბილისი **15.06.2015 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ:

გიორგი კოპალეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებელი, საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე.

არჩილ ჩარგეიშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებლის მოადგილე ინფრასტრუქტურული პროექტებისა და პროგრამების განხორციელების მიმართულებით საკითხთა დარგში, საკონკურსო კომისიის წევრი.

დავით ხერხეულიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის საფინანსო და ბიუჯეტირების განყოფილების უფროსი, საკონკურსო კომისიის წევრი.

მერი დევდარიანი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის საფინანსო და ბიუჯეტირების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი.

თამარ გეგია - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის აპარატის თანაშემწე, საკონკურსო კომისიის აპარატის წევრი.

დღის წესრიგი:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგეობის მიერ ნარიყალას ციხის სარეაბილიტაციო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის კონკურსში (N1680) მონაწილე პრეტენდენტების მიერ საკონკურსო წინადადებების წარდგენის პროცესის და მათ მიერ წარმოდგენილი წინადადებების განხილვა.

კომისიამ მოისმინა:

კომისიამ მოისმინა საკონკურსო კომისიის აპარატის წევრის თამარ გეგიას გამოსვლა, რომელმაც აღნიშნა, რომ საკონკურსო წინადადებები ორივე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ იქნა დროულად საკონკურსო პირობების თანახმად, კერძოდ 2015 წლის 15 ივნისის 16:00 საათამდე (იხ. დანართი). აღნიშნულ კონკურსში წინადადების მიღების დასრულებამდე 2 (ორი) პრეტენდენტმა წარმოადგინა საკონკურსო წინადადება:

1. შპს „რესტავრატორები და კომპანია";
2. შპს „გეომეფი".

კომისიამ განიხილა:

კომისიის წევრებმა განიხილეს კონკურსანტების მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადებები, რომლის განხილვის შედეგად აღმოჩნდა, რომ შპს „რესტავრატორები და კომპანიის" მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება სრულად შეესაბამება საკონკურსო კომისიის მიერ გამოქვეყნებულ საკონკურსო განცხადების მოთხოვნებს, ხოლო შპს „გეომეფის" მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას არ ახლდა აფიდავიტის შევსებული და დადასტურებული ფორმა საკონკურსო განცხადების დანართი N2-ის მიხედვით.

კომისიამ დაადგინა:

1. დაევალოს შპს „გეომეფს" 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში 2015 წლის 17 ივნისის ჩათვლით წარმოადგინოს აფიდავიტის შევსებული და დადასტურებული ფორმა საკონკურსო განცხადების დანართი N2-ის მიხედვით.
2. აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ეცნობოს შპს „გეომეფს".
3. ეთხოვოს საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოდან სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულ სპეციალისტებს კონკურსანტების მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებებზე წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები 3 (სამი) დღის ვადაში 2015 წლის 18 ივნისის ჩათვლით.
4. საკონკურსო წინადადების განხილვის და შეფასების დღედ დაინიშნოს 19 ივნისი 14:00 საათი.
5. დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს მოახდინოს აღნიშნული საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge) გამოქვეყნების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარე	*/გიორგი კოპალეიშვილი/*
კომისიის წევრი	*/არჩილ ჩარგეიშვილი/*
კომისიის წევრი	*/დავით ხერხეულიძე /*
აპარატის წევრი	*/მერი დევდარიანი/*
აპარატის წევრი	*/თამარ გეგია/*